

პროფესიონალი

№75

PROFESSIONALI



www.kafeli.ge

ART-CERAMIC

მაღვია არტ-კერამიკი



კერამიკით უკვე ბათუმშია!

უკრაინული წარმოების კერამიკის ფირფიტები კედლებისა და იატაკისათვის!

ფერისა და დეკორის მდიდარი არჩევანი მოჭიქული, პრიალა იატაკი და მოზაიკა

ჩვენ მაღვიაში სადარბაზოების, საზარეულოს, სააბაზანოსა და სხვა ნაგებობების სველი წერტილების მოსაპირკეთებელ ფირფიტებს აღმოაჩენთ, რომელთა დახმარებით, თქვენი იატაკი ხის მასალის ფაქტურას შეიძენს და წლების მანძილზე არ გასვდება!

არუფეთ საკუთარ სახლს სილამაზე და მარადიულობა!



Gorgiladze 91 str.
6010 Batumi
GEORGIA
+ 995 555 60 22 89
art.ceramicsalon@gmail.com

შროყსობერუო

შპს "კავკასიენერგომონტი"
www.kavkasenergmonti.ge
Agency: E2E Georgia, Georgia, e2eagency.com@gmail.ru

აღსაზრდელოა ის ალა, როგორც ქვეყნის მომავალ ბანსაღრვას

ახალი პროექტი მომავალიც დაიგეგმა

რასე რანე მარ შექვლამთ, რანეშე უკეთ მომავალი თარა გააკეთეს...

ყველა დანიშნავა შესრულდა

ალაქში აიღვე ბავრო პროექტზე მოსაზრება

KONVENT GEORGIA

KONVENT GEORGIA

www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა ლუღავი
სარედაქციო ყოღეგია
მისამართი:
თბილდისი, ჰ. ინგოროყვან №6
ტელ.: 299-82-60

ყურნალი მოქმედებს თავისუფალი ჰრესის ჰრინციპით. ავტორი თავად აგებს ჰასუს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ყურნალისტის ჰოზიციებს და ამავდროს, არ გამოხატავს, არცერთი ჰარტიისა თუ ჰოლიტიყური დაჯგუფების ინტერესებს.

E-mail: profesionali@mail.ru 25.10.15.-25.11.15 ფასი 2 ლარი

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ყურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა



პარლამენტის პლენარული სხდომა

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დადგენილების პროექტი „მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 21 ნოემბრის №70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ანი მიროტაძემ

საკითხი კომპლექსურ მონესრიგებას საჭიროებს. „ცვლილება, რომელიც შედის კანონის მე-11 მუხლში არის ყველაზე რთული კონსტრუქციის ნორმა, რაც კი ქართულ კანონმდებლობაში არსებობს, ეს არის მუხლი, რომელიც განსაზღვრავს რომელ თანამდებობის პირებზე ვრცელდება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედება. ეს არის უდიდესი სფერო, რომელიც ათიათასობით საჯარო მოხელეს აერთიანებს ამ კანონის მოქმედების ქვეშ. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ამ მუხლში, ერთი მხრივ, შეიძლება კონკრეტული რეგულაციის დამდგენი იყოს, მეორე მხრივ, კი შესაძლოა რაიმე დააზიანოს“, - განმარტა გიორ-



ნარმოადგინა. დადგენილებით, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედ დელეგაციას საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე უხელმძღვანელებს. მისივე თქმით, აღნიშნულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა დავით საგანელიძე, რომელიც აღარ არის პარლამენტის წევრი.

ზაქარია ქუცნაშვილმა სხდომაზე განსახილველად გამოიტანა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი. დეპუტატმა თავის ინიციატივას „უკანასკნელი პრივილეგიის გაუქმების კანონი“ უწოდა. წარმოდგენილი ცვლილებით განისაზღვრება იმ თანამდებობის პირთა, მათ შორის, პოლიტიკური თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც 2016 წლის 1 იანვრამდე შეეზღუდებათ პრემიის მიღების უფლება. კანონპროექტი ჯამში 746 თანამდებობის პირს ეხება. ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, კანონპროექტის პირველი მოსმენებისას, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით გამოთქმული იყო შენიშვნები მანანა კობახიძის, დიმიტრი ხუნდაძის, პაატა კიკნაველიძის, გიორგი კახიანის მხრიდან. მისი თქმით, დეპუტატების მხრიდან გამოთქმული შენიშვნების უმეტესობა მეორე მოსმენით განხილვისთვის წარმოდგენილ კანონპროექტში გათვალისწინებულია.

თანამომხსენებლის, გიორგი კახიანის შეფასებით, კანონპროექტი იდეის დონეზე მისასაღებელია, მაგრამ

გი კახიანმა. მისი თქმით, პარლამენტის წევრის ხელფასისა და დანამატის გაცემა რეგულირდება არა საჯარო სამსახურის შესახებ კანონით, არამედ პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონით. მისივე თქმით, სხვა თანამდებობის პირთა დანამატის ოდენობას განსაზღვრავს სპეციალური კანონები. კახიანის მოსაზრებით, პრემიები მაშინ არის არარელევანტული და მიუღებელი, როდესაც არაგონივრულ ფარგლებში ხდება მათი გაცემა. „მთავრობამ თქვა, რომ საჯარო მოხელეებზე დანამატი შეიძლება გაიცეს კვარტალურად, სამ თვეში ერთხელ. ამასთან, პრემიის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივი სარგოს 100 პროცენტს“, - განმარტა გიორგი კახიანმა. მისი ინფორმაციით, ყველა იმ თანამდებობის პირს, რომელსაც ინიცირებული კანონპროექტი ეხება, ბოლო ცხრა თვის განმავლობაში, პრემიის სახით, ჯამში 1 316 762 ლარი აქვს აღებული. მისივე განცხადებით, გაცემული პრემიების უდიდესი ნაწილი ადგილობრივ თვითმმართველობებზე, კერძოდ, საკრებულოს თავმჯდომარეებზე, მერებსა და გამგებლებზე მოდის, რომელთა მიერ 9 თვის განმავლობაში აღებული პრემიების ჯამური თანხა 630 ათასს ლარს შეადგენს.

„თეორიულად შესაძლებელია, რომ მართლაც შეიზღუდოს პრემიები, მაგრამ თანამდებობის პირებმა თანხა დამანატების სახით აიღონ. ჩვენ არ ვიღებთ პრემიებს, სამაგიეროდ ვიღებთ დანამატებს. კი ბატონო, თანამდებობრივი სარგო გვაქვს მცირე, მაგრამ ამის

რეაბილიტაცია შეიძლება დანამატებით ხდებოდეს. ასეთი თქმის ყველგან. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით რეფორმა უნდა განხორციელდეს, საკითხი უნდა მოწესრიგდეს და კომპლექსური მიდგომით გადაიჭრას”, - განაცხადა კახიანი.

საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარემ, ირაკლი ჩიქოვანმა სამაჟორული კომპანია „რუსთავი-2-ის“ თაობაზე ისაუბრა: „არ შეიძლება ამ ერთ საკითხს გადააყოლო ჩვენი გადადგმული ნაბიჯები ევროინტეგრაციის მიმართულებით. ყველა ის განცხადება, რომელიც საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ბოლო პერიოდში გავრცელდა, მიაჩნია ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მათ უპრეცედენტო უკმაყოფილებაზე. ხელისუფლებამ ვერ გააკეთა შესაბამისი ადეკვატური რეაგირება არსებულ სიტუაციაზე, ვერ მოახდინა პასუხის გაცემა გამონვევებზე, რაც მას მედიის თავისუფლების თვალსაზრისით უდგას. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს განცხადებები მტრული სახელწოდების განცხადებები არ არის, ამ განცხადებებს იმ სახელწოდების წარმომადგენლები აკეთებენ, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან აბოლოტურად ყველაფერი გააკეთეს, რომ შეგვენარჩუნებინა ჩვენი იდენტობა, ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ჩვენი თანამოქალაქეები ყოფილიყვნენ დაპურებული. მოვუწოდებ

ყარეთ, გავემიჯნეთ ყველას. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ამ საკითხზე კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს თავის პოზიციას, რადგან მის პოზიციას უსმენენ. მინდა, ჩემს უკრაინელ კოლეგებს მივმართო, როგორ მოეწონებოდათ, რომ იანუკოვიჩი საქართველოში მაღალ პოზიციაზე იყოს და პირდაპირ სისხლისღვრის ორგანიზებას გეგმავდეს უკრაინის ტერიტორიაზე”, - განაცხადა გია ვოლსკიმ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

სხდომის დღის წესრიგს დაემატა რამდენიმე საკითხი. კერძოდ, „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ კანონპროექტი, რომლის შესაბამისად იცვლება კანონში არსებული ტერმინის „სასტუმროს“ განსაზღვრება, რომელშიც ფართოვდება სასტუმროსათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და შენობისთვის კომპლექსური ნაგებობების არსებობის შესაძლებლობა. კანონპროექტი აზუსტებს არსებული კანონით მოცემული ინვესტორის საშელავათო პირობებს.

დეპუტატებმა ასევე განიხილეს საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკემის შეთანხმების ცვლილების ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე“. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნოდარ კერესელიძემ მესამე მოსმენით განსახილველად წარადგინა კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებ-



ყველას ამ დავას ნუ გადააყოლებენ ჩვენი ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას. საჭიროა სიფრთხილე ყველა აზრის გამოთქმისას.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ რამდენჯერმე დაისვა კითხვა საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებთან დაკავშირებით. „ჩემსა და ჩემი კოლეგების მიმართ რამდენიმე კითხვა დაისვა, როგორ ვაფასებთ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებს. პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ პატივისცემას ვადასტურებ, მაგრამ პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქართული საზოგადოება, მთელი არასამთავრობო ორგანიზაცია და ყველა პარტია, გარდა კოალიციისა, დგას ერთ პოზიციაზე და თურმე ჩვენ გავე-

ის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ. კანონპროექტით ზუსტდება ეკონომიკური მონაწილეობის, პაის, საპაიო შენატანის, დემოკრატიული მართვის ცნებები. ემატება ახალი ტერმინები, როგორიცაა დამატებითი საპაიო შენატანი, ასოცირებული ნევრი, საერთო კრება საპაიო ფონდი. კანონპროექტით წესდება შეზღუდვა არანევრებისგან წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვასთან ან/და მომსახურების განევასთან დაკავშირებით.

პარლამენტმა ფარული კენჭისყრით საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრებად ქეთევან ბექაური და თეა ჯუღელი აირჩია.

ახალგაზრდობაა ის ძალა, რომლის ძველის მომავალს განსაზღვრავს



კანასკნელ წლებში, საქართველოს რეგიონების ფინანსური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის საკითხებს და არსებული ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. რეგიონული პოლიტიკის ახალი გამოწვევების და შესაძლებლობების თაობაზე უამრავი მსჯელობა თუ დისკუსია ეწყობა და არც სათანადო გადანაწილებები აყოფნებს. განსაკუთრებული ყურადღება დედაქალაქის გარეთ მდებარე სასოფლო-სამეურნეო დასახლებებს ეთმობა და პროცესები მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. საერთო მიდგომა უშუალოდ თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობას ითვალისწინებს და საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და შესაბამის ღონისძიებებს განსაზღვრავს. გურიის მომავალი განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგიული ხედვა, პრიორიტეტები და წინადადებები რეგიონისა და მისი სექტორული განვითარების კონკრეტულ ანალიზს ემყარება. საქართველოს მთავრობის გადანაწილებებით, გამოკვეთილია რამდენიმე საკვანძო საკითხი, რაც შესაძლებელს გახდის სათანადო ძალისხმევით მიმართვას ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორცაა მხარის ბუნებრივი რესურსებისა და მატერიალური აქტივების გონივრული მართვა-გამოყენება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ტურისტული ინდუსტრიის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება, საბაზისო და სოციალური ინფრასტრუქტურა, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ზოგადი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სამომავლოდ, სწორედ ამ სექტორების წარმატებამ უნდა განაპირობოს გურიის მხარის მზარდი ეკონომიკა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის შესაძლებლობებს და შემოსავლებს. ხელს შეუწყობს ცხოვრების საერთო დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. ეს რთული და საპასუხისმგებლო მისია, სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს გურიის მხარეში, ბატონ **გიანა სალუქვაძის** აკისრია, რომლის რეპუტაცია და საქმის გაძღოლის უნარი, მთელს რეგიონში სამაგალითოა...



– ბატონო გია, რა ძირითად მიმართულებებს ექცევა ყურადღება რეგიონში?
 – როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძველი რომაელები, პირველ რიგში გზებს აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რათა მათი კულტურა უფრო გავრცელებულიყო და განვითარებულიყო. ინფრასტრუქტურული საკითხები, როგორც რეგიონის, ისე მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით, დღესაც უმნიშვნელოვანესია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია გურიაში საბაზისო ინფრასტრუქტურის და მშენებლობის განვითარება, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მაგისტრალების, მათ შორის შიდა სასოფლო, კურორტებამდე



და საკურორტო ადგილებამდე მიმავალი გზების შემდგომი რეაბილიტაცია, გაზიფიკაციის სამუშაოების დასრულება, მუნიციპალური ცენტრების ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება და არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროს რეგულირების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება. სწორედ ამ კუთხით ვახდენთ მუნიციპალიტეტებსა და ცენტრალური ხელისუფლების მაკორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფას.

- უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით?
- ყველა ჩემდამი რწმუნებულ მუნიციპალიტეტში,



- სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებზე რას გვეტყვით?

- ყურადღება რამოდენიმე პროექტზე მსურს გავამახვილო - ახლახან დასრულდა ჩოხატაურის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რის შედეგადაც, 1100 რეგისტრირებულ აბონენტს, 24 საათის განმავლობაში, თანამედროვე, საქლორატოროში დამუშავებული წყალი მიენოდება. დიდი პროექტი ხორციელდება ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო ზონის პროექტირების მხრივ, რასაც, მთლიანი რეგიონისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ამჟამად მიმდინარეობს შეკვეთილის, ურეკის და გრიგოლეთის კანალიზაციის, სასმელი წყლის, თხევადი ნარჩენების მოცილების და ბუნებრივი აირის სისტემების მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებას და მისი

ქალაქ თბილისში

60 ადსაზრდელზე გათვლილი, რეაბილიტირებული

საბავშვო ბაღი გაიხსნა

დასასრულებელია 20-მდე ადამიანი

2013-2014 წლებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯზე და ახსნა 40-მდე საბავშვო ბაღი

ასეულობით პროექტი წარმატებით ხორციელდება. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს გზის მშენებლობა სურბში, სადაც 30 წელზე მეტია მსგავსი სამუშაოები არ ჩატარებულა. ასეთივე სიტუაცია გახლდათ ჩოჩხატაურის გზის მონაკვეთზე, სადაც ამჟამად 4 მილიონის ღირებულების პროექტი დაწყებული. 16 ქუჩას ჩაუტარდა განახ-



ლება და ძირეული რეაბილიტაცია ოზურგეთში და ქალაქში მთლიანად გადაიხურა 22 მაღალსართულიანი კორპუსი. ინფრასტრუქტურული პროექტები არ ჩერდება ლანჩხუთის რაიონში - მამათში მიმდინარეობს ბეტონის გზის დაგება და სანიაღვრე რკინა-ბეტონის არხის მშენებლობა, აცანის ცენტრში მენეჯერული ზონის გამაგრებითი სამუშაოები სრულდება, წყალმინდამი კი სახიდე გადასასვლელი კეთდება, რომლის ღირებულება 444 444 ათას ლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტებში ხორციელდება სანიაღვრე არხების განმენდა-გაფართოების, კედლების გამაგრების და ბოგირების მოწყობის სამუშაოები. სადრენაჟე სისტემების მოწესრიგება და ნაპირსამაგრი სამუშაოები. შენდება ხიდები.





მნიშვნელობის გაზრდას. საბოლოოდ გადამწყვეტა ზღვისპირეთში პლაჟების დასუფთავების პრობლემა, რასაც ჩვენს მიერ შესყიდული სპეც-ტექნიკა უზრუნველყოფს. უახლოეს მომავალში ქალაქი ოზურგეთი, რომელსაც უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სატუმბო სისტემა დაეუმონტაჟეთ, 24 საათიან წყალმომარაგებაზე გადავა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოხდა საირიგაციო სისტემების აღდგენა-დასუფთავება, ვინაიდან მათი დაახლოებით 75% სრულიად განადგურებული იყო.

- რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის საკითხი როგორ დგას?

- ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია გურიაში მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტებში შესაბამისი საინვესტიციო პროექტებისა თუ წინადადებების მომზადება უცხოელი ინვესტორების დაინტერესების მიზნით. მოლაპარაკებები რამოდენიმე მსხვილ კომპანიასთან მიმდინარეობს. ოზურგეთში იგეგმება „ადიდასის“ და „ნაიკის“ ბრენდების საწარმოს აშენება, სადაც დაახლოებით 250-300 ადამიანი დასაქმდება. საინვესტიციო ჯგუფმა „შავი ზღვის მარგალიტი“ ძალიან სერიოზული პროექტის განხორციელება დაიწყო, რაც 13 საწარმოს აშენებას და რეგიონში დაახლოებით 100 მილიონის დაბანდებას ითვალისწინებს. აქტიურ მოლაპარაკებებს ვანარმოებთ ჩინელ ბიზნესმენებთან მოცვის და ჩაის პლანტაციების თაობაზე. რეგიონში წარმატებით მუშაობს პროგრამა - „დანერგე მომავალი - აწარმოე საქართველოში“, რომლის ფარგლებში ათეულობით ახალი საწარმო ამოქმედდა. მათ შორის ხილის, ციტრუსის, თხილის და ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები, სამაცივრე საწყობე-

ბი და საკალმახეები.

- სოციალურ პროგრამებს რაც შეეხება ...

- რეგიონში სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. გურიაში ამ მიმართულებით წარმატებით ვმუშაობთ - მიმდინარეობს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედითი პროგრამების შემუშავება, სოციალური სახლების მომსახურების სრული ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა, სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტის შემდგომი გაფართოება და მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემის სრულად გადაჭრა. იგეგმება რეგიონის მოსახლეობისთვის სათემო ამბულატორიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ვეხმარებით სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ოჯახებს, ვეტერანებს, სტუდენტებს. ყველა მუნიციპალიტეტში გახსნილი გვაქვს უმწეოთა სახლები და ასეთ ოჯახებს მაქსიმალურად გვერდში ვუდგავართ.

- რეგიონს მდიდარი ტურისტული პოტენციალი გააჩნია...

- ჩვენს წინაშე რეალურად დგას რეგიონში ტურიზმის მრავალმხრივი განვითარების ამოცანა. ვფიქრობ, აუცილებელია, ტურიზმის, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობების სათანადო შესწავლა და მისი, როგორც მუნიციპალური, ასევე რეგიონალური განვითარების სტრატეგიის შემუშავება. ჩვენი დახმარებით





და ტურიზმის დეპარტამენტის თანადგომით მოხდება სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ასევე საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტების, მათთან მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუქტურის მონესრიგება. ამასთან დაკავშირებით სერიოზული პროექტები იგეგმება და ხორციელდება გომის მთაზე, ურეკში, ბახმაროში, სადაც შე-

მუშავდება კურორტის განაშენიანების გენერალური გეგმა - აშენდება სახლები, სასტუმროები და მოწყობა ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტებში მოხდება მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეკლამირება, მარშრუტების შექმნა-განახლება რელიეფისა და ადგილმდებარეობის თავისებურების გათვალისწინებით, კულტურული, სათავგადასავლო, სამკურნალო, რელიგიური, აგრო, ეკო, სპორტული და სხვა ტურების ორგანიზების ხელშეწყობა. მომსახურების მიმწოდებლებს, მენეჯერებსა და პერსონალის გადამზადება.

– კულტურულ სფეროსაც შევხვით...

– გურიას ყოველთვის საოცარი ფოლკლორი და უნიკალური სიმღერები გამოარჩევდა, რომელიც დღესაც ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათია. მოგეხსენებათ, ამასთან დაკავშირებით, ოზურგეთი ფოლკლორის ქალაქად გამოცხადდა. მოკლე ხანში დასრულდება მასშტაბური ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა, აშენდება საცურაო აუზი და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება კინოთეატრს. განახლდება ფაქტობრივად განადგურებული სასტუმრო „გურია“, რომელიც მთელი რეგიონის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა. აქვე განთავსდება საკონფერენციო დარბაზი და ტურისტული სააგენტო. ახ-

ლახან, მერაბ ბერძენიშვილის სახელი მივანიჭეთ სამხატვრო გალერეას, საზეიმოდ აღვნიშნეთ ქართული ცეკვის ერთ-ერთი აღმდგენის და გადაამრჩენის, გიორგი სალუქვაძის დაბადების 100 წლის თავი, გავხსენით მისი სახელობის მუზეუმი . გვაქვს კრიმანჭულის სახელგანთქმული სკოლა და ამ სფეროში ახალგაზრდები მასობრივად არიან ჩართულნი. რეგიონს ჰყავს წარმატებული თეატრალური დასი და უამრავი ფო-



ლკლორული ანსამბლი.

– და ბოლოს, სამომავლო პრიორიტეტებზეც გვითხარით...

– მომავალ წელს ჩვენი პრიორიტეტები კვლავაც იქნება რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლებსა და დაბებში თანამედროვე ტიპის სერვისცენტრების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი მომსახურების განვითარების უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მოხდება რეგიონში წარმოებული პროდუქციის შესახებ სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება, მრეწველობის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ტრანსფერისა და დანერგვის მხარდაჭერა. ტურიზმის უფრო ეფექტური მართვისათვის, განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ათვისება-განხორციელება და მასში კერძო სტრუქტურების ჩართვა. ჩვენი უმთავრესი მიზანია, შევქმნათ თანაბარი პირობები რეგიონში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული განვითარებისათვის. წავახალისოთ ისინი, მოვახდინოთ მათი სტიმულირება და ხელშეწყობა, რათა ადვილად მიეცეთ საშუალება გამოავლინონ საკუთარი ნიჭი, შესაძლებლობები, შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ და მეტად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად და გამოიჩინონ ინიციატივა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში. რადგან სწორედ ახალგაზრდობაა ის ძალა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს და უზრუნველყოფს მის განვითარებას.



როგორც ცნობილია, გასული ათწლეულის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა გარკვეულწილად წარმატებული იყო ინვესტიციების მოზიდვისა და მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, თუმცა, სამწუხაროდ, ეს გარემოება ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე არ აისახა და ვერც უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლების შემცირებაზე მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა. ხელისუფლებაში ახალი ძალის მოსვლის შემდეგ, ანალიზის საფუძველზე, შემდგომი განვითარების ხელშეწყობის კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა და არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა. საქართველოს მთავრობის და მისი მეთაურის, ბატონი ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივით წამოწყებულმა რეფორმებმა შეძლეს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტურად დაგეგმვისა და განხორციელების სწორ გზებზე დაყენება. კონკრეტული რეგიონის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, გაიზარდა პროცესებში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა, ხოლო ინფრასტრუქტურის განვითარებაში განხორციელდა სწორი ინ-

ახალ ინიციატივებს მხარს მაქსიმალურად დაუჭარო



ვესტიციები, რამაც ხელი შეუწყო შიდასარაიონო, სატრანსპორტო, ენერჯო და სხვა ძირითადი სისტემების გაუმჯობესებას. მოხდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი თუ შემნახველი ბიზნესის სტიმულირება, რაც, პერსპექტივაში, ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას უზრუნველყოფს. ამ პროცესებს არც გურიის რეგიონი და კერძოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ჩამორჩა. რაიონში წარმატებით მიმდინარეობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წახალისება და კერძო სექტორის სტიმულირება. როგორც ცენტრალური და შიდა გზების, ასევე სხვა სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება. რაიონში არსებულ მდგომარეობაზე და სიახლეებზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **მერაბ ჭანუყვაძე** გვესაუბრა...

- ბატონო მერაბ, მოგვიყევით რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ...

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის, წლებიანდელი წელი, ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოდგა. რაიონში გეგმის მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე შესრულდა, ხოლო ნაწილი - ინტენსიურად მიმდინარეობს. ნოემბრის ბოლოსთვის დასრულდება მერია-ლაითურის დამაკავშირებელი 150 მეტრი სიგრძის ხიდის მშენებლობა, რომელიც მუნიციპალიტეტის ორ დიდ სოფელს ქალაქის ცენტრთან დააკავშირებს და მოსახლეობას ეს პრობლემა საბოლოოდ მოეხსნება. ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში არსებულ უსახლკაროთა თავშესაფარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ გარემონტებულ და ყველა საჭირო პირობით უზრუნველყოფილ საცხოვრებელ ფართს უსახლკარო, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, მარტოხელა, ლტოლვილი და განსაკუთრებული საჭიროების მქონე 90 ბენეფიციარი მიიღებს. პროექტი 25 დეკემბერს დასრულდება და მისი საერთო ღირებულება 738 000 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, წარმატებით მიმდინარეობს სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები. დასრულდა სოფელ შემოქმედში პარკის მშენებლობა -

შემოსახლვრა ტერიტორიები, მოეწყო ბილიკები და შადრევნები, დაირგო დეკორატიული ხეები, დამონტაჟდა განათების ბოძები და განთავსდა პარკის სპეციალური ინვენტარი. პროექტი დასრულებულ სახეს 2016 წლისთვის მიიღებს. სამუშაოების ღირებულება 82 000 ლარს შეადგენს. აქტიურად განიხილება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწების დამშრობი სისტემების მოწესრიგება, პირველი რიგის კოლექტორების, შემკრები და მაგისტრალური სისტემების რეაბილიტაცია. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ზოგადი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გზებზე ასფალტის საფარის აღდგენა და ნაპირსამაგრი სამუშაოები.

- ორიოდ სიტყვით მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სხვა პროექტებზეც მოგვიყევით...

- მინდა აღვნიშნო, რომ უკვე მეორე ეტაპზე გადავიდა ურეკი-შეკვეთილის





ტურისტულ-სარეკრეაციო ზონის პროექტირება, რასაც, რეგიონისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როგორც მოგეხსენებათ, ამ ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესი წარსულში არათანმიმდევრულად, განაშენიანების გენერალური გეგმის გარეშე განხორციელდა. რეკონსტრუქციას საჭიროებს საავტომობილო გზები, ქუჩები და სხვა ინფრასტრუქტურა. მიმდინარეობს სასმელი წყლის და ბუნებრივი აირის სისტემების მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებას და მისი მნიშვნელობის გაზრდას, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ჩვენი მთავარი პრიორიტეტია ხელი შევუწყოთ ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას და მსგავსი ტიპის ინიციატივებს მაქსიმალურად დაუჭერთ მხარს.




- სტიქიამ ლაითური განსაკუთრებით დააზარალა და რა ღონისძიებები გატარდა არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად...

- 4 ოქტომბერს მომხდარი სტიქიის შემდეგ სპეციალურმა კომისიამ დაბა ლაითურში ზარალის დათვლა დაასრულა. დაზიანებულია 40-მდე მრავალბინიანი და კერძო საცხოვრებელი სახლი. ძლიერი ქარისა და უხვი ნალექის გამო მწყობრიდან გამოვიდა ელექტრო გადაამცემი ხაზები და გაზსადენი მილი. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების 90% უკვე შესრულებულია. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩვენი წერილის საფუძველზე გამოყოფილია 681 000 ლარი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სამუშაოები მთლიანად დავასრულოთ. ამ ეტაპისთვის, 35 მრავალბინიანი და 10 კერძო სახლი გადაიხურა, მიმდინარეობს სხვა სარემონტო სამუშაოებიც.

- სამომავლოდ რა მიმართულებებია პრიორიტეტული ?

- მოგეხსენებათ, ჩვენს რეგიონში ყველაზე მეტად თხილი, ციტრუსი და ჩაია გავრცელებული, რაც ამ კულტურების პრიორიტეტულობაზე მიუთითებს. შესაბამისად, სასურველია, ახალი, პერსპექტიული ჯიშების დანერგვა. სასიხარულოა, რომ მუნიცი-



პალიტიკში მასობრივად დაიწყო თხილის კულტურის გაშენება. თხილს სხვა კულტურებთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობები ახასიათებს - გაშენებისა და მოვლის დაბალი ფასი, ტრანსპორტირების სიმარტივე და გასაღების ბაზრის ხელმისაწვდომობა. დღეს, თხილის ნაყოფის რეალიზაცია ადგილობრივი მოსახლეობისათვის ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყაროა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ინვესტირებული კაპიტალის დიდი ნაწილი სწორედ თხილის წარმოებასა და შესაბამის გადამამუშავებელ საწარმოებზე მოდის. გარდა ამისა, ნელ-ნელა იზრდება ჩაის და ციტრუსის წარმოება. ნელს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, პროექტ „წარმოე საქართველოს“ ფარგლებში ჩაის დასაფასოებელი ახალი საწარმო გაიხსნა, რომელიც 1300 კვ/მეტრზეა განთავსებული და უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი. საწარმოს გახსნას პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ლარიბაშვილი დაესწრო. საწარმოში გამოყენებული იქნება, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული ნედლეული და დაახლოებით 100-მდე ადამიანი დასაქმდება. შესაბამისად, სამომავლოდ მუნიციპალიტეტის გამგეობა სწორედ ამ მიმართულებებზე გააკეთებს აქცენტს და

ძალისხმევას არ დაიშურებს რეგიონისთვის პრიორიტეტული დარგების განსავითარებლად, რაც, ვფიქრობ, დადებითად აისახება ჩვენს მოსახლეობაზე და მათი ყოფითი პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.





იდი ხანია, სადაო თემას აღარ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის მიერ თვითმმართველობის კოდექსის ახალი პროექტის დამტკიცებამ ქვეყანაში ამ მიმართულებით საქმიანობა კიდევ უფრო ეფექტური, ხარისხიანი და გამჭვირვალე გახადა. ამ რეფორმის შედეგად, ქვეყანაში აღებული ეკონომიკური ზრდის პირობებში, თვითმმართველ ქალაქში რეალურად ვითარდება ინფრასტრუქტურა, უმჯობესდება სოციალური მომსახურება, იზრდება საწარმოების, კულტურული, სასწავლო, სპორტული და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა თუ ობიექტების რაოდენობა და ფუნქციონირების ხარისხი, რაც ამ სფეროში დასაქმებული მოსახლეობის კეთილდღეობაზე მალე აისახება. ქვეყნის საერთო მომავლის ხედვა, თვითმმართველი ქალაქების განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, გულისხმობს მნიშვნელოვნად გაჯანსაღებულ გარემოს, თანამედროვე ცხოვრების წესით და ახალი საწარმოებით, ტყე-პარკებით, ინფრასტრუქტურით - გაუმჯობესებული გზებით და შიდასატრანსპორტო სქემით. ამ ფონზე, ქალაქ ოზურგეთის თვით-

ქალაქი აიღვ ბავრი პრობლემა მოსაგვარებელი

მმართველობა სრულად აცნობიერებს ყველა დაინტერესებული პირისა და ფენის ჩართულობის მნიშვნელობას იმ საქმიანობაში, რომელიც ქალაქის ტერიტორიაზე ხორციელდება. ვინაიდან, ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია დასახული გეგმების განხორციელების წარმატებულობისა და განგრძობადობის უზრუნველსაყოფად. ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში ქალაქში განხორციელდა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა, წარმატებით მიმდინარეობს კანალიზაციისა და სასმელი წყლის მიწების გამოცვლა, როგორც ცენტრალურ გზებზე ასევე შიდა ქუჩებისა და ეზოების ნაწილში დაიგო გზის საფარი, შეკეთდა კორპუსების სახურავები, სრულდება პარკების რეაბილიტაცია, დაგეგმილია სპორტის სასახლის და საცურაო აუზის მშენებლობა... ამ მიღწევებით და მომავალში დაგეგმილი სამუშაოებით სამართლიანად ამაყოფს ოზურგეთის მერი, ბატონი **ბეგლარ სიორიძე**, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ პროცესებზე უფრო დაწვრილებით გვესაუბრა...



– ბატონო ბეგლარ, რა სახლებია ქალაქში?
– ოზურგეთის მერიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის კაპიტალური განახლება და ქალაქის

კეთილმოწყობა წარმოადგენს. სარეაბილიტაციო სამუშაოები, პრაქტიკულად მთელს ქალაქს მოიცავს და მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად ხორციელდება. აქტიურად მიმდინარეობს გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები ნიკოლაძის, გრიბოედოვის, გურიის, ჭანტურიას და ჩანჩიბაძის ქუჩებზე. ნაპირსამაგრი სამუშაოები წარმოებს თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე მდინარის მონაკვეთზე და სულ მალე 46 მეტრის სიგრძის გაბიონი მოსახლეობის პრობლემას, უამინდობის დროს მდინარის ადიდებასთან დაკავშირებით, საბოლოოდ გადაჭრის. ნოემბრის ბოლოსთვის დასრულდება სანიაღვრე არხების მოწყობა გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე კორპუსებთან. აღნიშნული არხები ცხაურებით დაიფარება და წვიმის დროს ეზოების წყლით განმუხტვას უზრუნველყოფს. გაბიონების აგება დასრულებულია ყაზბეგის, თაყაიშვილის ქუ-



ჩვენ და ყოფილი სამშობიაროს შენობაში. ჩვენი დაფინანსებით გადაიხურა ქალაქის მრავალბინიანი კორპუსები. კლდიაშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში ფილაქნის, მწვანე გაზონისა და მესრის აღდგენა დავამთავრეთ და ადგილობრივებს უკვე განახლებული და კეთილმოწყობილი სკვერი გააჩნიათ.



- სამუშაოები ქაე-ჭავაძის ქუჩაზეც შეეწინშეთ...

- ამ დღეებში, ქალაქისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო და მალე ქაე-ჭავაძის ქუჩას სრულიად განახლებული და კეთილმოწყობილი იერსახე ექნება. აღსანიშნავია, რომ მოასფალტების პარალელურად, ქუჩის მთელ სიგრძეზე, საავტომობილო მოძრაობის განტვირთვისა და დარეგულირების მიზნით, გამყოფი ზოლი და გამწვანება გაკეთდება. განახლება და კეთილმოწყობა ტროტუარები. დამონტაჟდება განათება. რეაბილიტაცია მიმდინარე წელს დასრულდება და ქალაქი მომავალ წელს სრულიად განახლებული და კეთილმოწყობილი ქუჩით შეხვდება.



- კიდევ რა პროექტებს ახორციელებთ?

- უკანასკნელ პერიოდში, ქალაქში წყლის მოძველებულმა სისტემამ გარკვეული პრობლემები შექმნა. ჩვენ სასწრაფოდ მივიღეთ შესაბამისი ზომები და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, აკაკი ბაქრაძის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩის ჩათვლით, ნაკლოვანებები სრულად აღმოიფხვრა. ოზურგეთის მერიისა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ 2016 წლისთვის ქალაქის დანარჩენი ნაწილის წყალგაყვანილობის სისტემის სრული რეაბილიტაცია იგეგმება. გარდა ამისა, წამოვიწყეთ ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე ბჟუჟზე. პროექტი, რომელის ღირებულება 698 677 ლარს შეადგენს, ბაქრაძის ქუჩისა და იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე გაბიონის მოწყობის სამუშაოებს ითვალისწინებს. უამინდობის დროს, ადგილობრივ მოსახლეობას მდინარე საკარმიდამო ნაკვეთებს ართმევ-



და, შესაბამისად, კალაპოტის გასწორებაზოგენება და გაბიონი, რომელიც 430 მეტრის სიგრძის იქნება, ამ ტერიტორიის დაცვას საიმედოდ უზრუნველყოფს.

- ქალაქში დიდი ყურადღება ექცევა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას...

- 2015 წელს სოციალურ პროექტებზე ბიუჯეტიდან 300 ათას ლარზე მეტი იყო გამოყოფილი. შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, ოზურგეთის მერიამ ქალაქში სოციალურად დაუცველთათვის თავშესაფრის რეაბილიტაცია დაიწყო. მიუსაფარ და შეჭირვებულ მოქალაქეთათვის განკუთვნილი ყოფილი სამშობიაროს შენობის აღდგენა აქტიურად მიმდინარეობს. რეაბილიტაციის შემდგომ შენობაში კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართები ჩვენს სპეციალურ ბაზაში აღრიცხულ უსახლკარო მოქალაქეებს გადაეცემათ.

- სამომავლო გეგმებზეც გვითხარით...

- სამწუხაროდ, ქალაქში კიდევ ბევრი პრობლემა მოსაგვარებელი. ძალზედ მნიშვნელოვანია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ბოლომდე მიყვანა. გზის საფარის კაპიტალურად შეკეთება-მოასფალტება, მრავალბინიანი კორპუსებისა და სკვერების სრული რეაბილიტაცია, სოციალური მიმართულებით განუვლი სამუშაოების სრულყოფა. ამასთან ერთად, აუცილებელია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტულ და კულტურულ შემოქმედებით საქმიანობაში მასობრივი ჩართვა, რათა მოზარდებს საკუთარი ნიჭის გამოვლენის და თავისუფალი დროის ეფექტურად გამოყენების საშუალება მიეცეთ. აქედან გამომდინარე, 2016 წელს გვსურს სპორტული ცენტრის და საცურაო აუზის მშენებლობა განვახორციელოთ, რაშიც სპორტის სამინისტრო დაგვეხმარება.

ვფიქრობ, ეს პროექტები ხელს შეუწყობს მომავალი თაობისათვის განათლებისა და ცნობიერების ამაღლებას, ჯანმრთელობის ხელშეწყობი გარემოს შექმნას და როგორც სპორტულ, ასევე კულტურულ-შემოქმედებით აქტიურობას.





აქართველოში, ისევე როგორც თანამედროვე, ცივილიზებულ სამყაროში, ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკა, მუდამ ეკონომიკური სტაბილურობის განუყოფელ ნაწილად განიხილება. კონკრეტული რაიონის სპეციფიკის ეფექტიანი გამოყენება არა რომელიმე ცალკეული სემინტის, არამედ საერთო ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს. დღევანდელ ვითარებაში, როდესაც შიდა თუ გარე ფაქტორების ზეგავლენით, ქვეყანა რეალურად დადგა ეკონომიკური არასტაბილურობის საფრთხის წინაშე, ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება გახდა ის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რამაც მთავრობის მოსაზრებით, ახალი ეკონომიკური ბიძგებისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნა.



დღეისათვის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა საქართველოში მაქსიმალურად გააქტიურებულია. მიმდინარე ეტაპზე ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ სწორედ ცალკეული დარგობრივი, მიზნობრივი პროექტების განხორციელებამ განაპირობა, ასეთ მოკლე პერიოდში, ეკონომიკური კლიმატის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასტაბილურება. გურიის რეგიონი, კონკრეტულად კი ლანჩხუთის რაიონი ყოველთვის ელოდა იმ ცვლილებებს, რასაც დღევანდელი მთავრობა ახორციელებს. საქართველოს ამ ლამაზი კუთხის პრობლემატიკა, რომელიც სამწუხაროდ, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ყველასაგან და ყველაფერისგან რატომღაც უგულებელყოფილი და მიტოვებული აღმოჩნდა,




ყველა დახირება შესრულდება

ცალკე მსჯელობის თემაა, რომელსაც სკურპულოზური განხილვა და სათუთი მიდგომა ესაჭიროება. ამის გაკეთება კი წარმოუდგენელია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში იმ ადამიანების წარმატებული საქმიანობის გარეშე, რომელთაც ზუსტად იციან რეგიონის მოსახლეობის პრობლემები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ზაზა შრუშაძე** საჯარო მოხელეთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც საკუთარი კუთხის და ქვეყნის სატკივარი მუდამ გათავისებულად აქვთ და ყველაფერს აკეთებენ საქართველოს საკეთილდღეოდ.

- ბატონო ზაზა, რა პროექტები განხორციელდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს?

- 2015 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არაერთი პროექტი განხორციელდა. ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურული პროექტებიდან 19 ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 122 ობიექტზე დასრულდა სამუშაოები. სტიქიის სალიკვიდაციო პროგრამებით 53 ობიექტზე უკვე დასრულებულია სამ-

უშაოები, რომლებიც ძირითად ნაპირსამაგრ, ხიდებისა და მილხიდების მშენებლობას მოიცავს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თითქმის ყველა სოფელში, ფაქტობრივად, მოშლილი იყო წყლის სისტემა. ამასთან დაკავშირებით ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა, როგორც გასულ, 2014 წელს, ასევე მიმდინარე წელსაც. 2015 წელს 8 ადმინისტრაციულ ერთეულში (ჩიბათი, მუხუთი, ნინოშვილი, ნიგოთი, ნიგეზიანი, მაჩხვარეთი, აცანა და აკეთი) მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ამჟამად თითქმის ყველა სოფელში საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. მამათში ბეტონის გზის დაგება და სანიაღვრე რკინა-ბეტონის არხის მშენებლობა მიმდინარეობს, აცანის ცენტრში მენყერული ზონის გამაგრებითი სამუშაოები სრულდება, ასევე აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სუფსაზე გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს, წყალმინდაში კი სახიდე გადასასვლელი კეთდება, რომლის ღირებულება 444 444 ლარს შეადგენს. ძალიან მნიშვნელოვანია გრიგოლეთის სანვრთნელ ბაზაზე მიმდინარე სამუშაოები, რომლის ღირებულება 350 000 ლარს შეადგენს. პროექტები უკვე დასკვნით ეტაპზეა. პროცესები დაიწყო ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. ჩოჩხათი-გულაიანის 12 კილომეტრიანი გზის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს.



აღნიშნულ მონაკვეთზე უკვე დაიწყო შავი საფარის დაგება. პროექტის ღირებულება სამი მილიონი ლარია. ტენდერში შპს „სამკუთხედმა“ გაიმარჯვა. აღნიშნული გზა შვიდ სოფელს რაიონულ ცენტრთან აკავშირებს, ასევე ოზურგეთი-სუფსაფოტის შორის უმოკლესი მანძილია. მიმდინარე წელს წყალმინდასა და ჯურუყვეთში მიმდინარეობს ახალი შენობების აშენება საბავშვო ბაღებისთვის, ხოლო მარჯვარეთის სააღმზრდელო ჯგუფის ორსართულიან შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს „ხურომ“ შეასრულა. სულ რემონტისთვის 241 000 ლარი დაიხარჯა. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა აკეთის საბავშვო ბაღსაც, რომელზედაც 149 206 ლარი დაიხარჯა. 15 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა რემონტი, მოწესრიგდა სამზარეულოები და სველი წერტილები. ინფრასტრუქტურული პროექტებით დაგეგმილია ასევე ქალაქ ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობა. ამ პროექტისთვის 723 ათასი ლარია გამოყოფილი. ამჟამად სამუშაოები დუმბაძის, წმინდა ნინოსა და გორგასლის ქუჩებზე მიმდინარეობს. ამ უკანასკნელზე დაიგო ასფალტი, რაც დაახლოებით 130 ათასი ლარი დაჯდა. ასევე დაგეგმილია სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის კეთილმოწყობა. აცანაში, მამათსა და აკეთში მიდა გზების რიგ მონაკვეთებზე, სადაც გავლა ჭირდა, დაიგო რკინა-ბეტონის გზა და ასევე მოეწყო ბეტონის სანიტარე არხები.

- რა სოციალური პროგრამები ხორციელდება ლანჩხუთში?

- ჩვენ გვაქვს ჩვენი სოციალური პროგრამა, რომლისთვისაც ბიუჯეტში წელს 354. 4 ათასი ლარია გამოყოფილი. ეს პროგრამებია: მზურნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, თანხით 7 ათასი ლარი. პროგრამით სარგებლობს 60 ბენეფიციარი, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000-ს. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, გამოყოფილია 40 ათასი ლარი. პროგრამით ისარგებლებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილები და მათი სარეიტინგო ქულა აღემატება 57 ათასს. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა, რისთვისაც გამოყოფილია 35 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია დახმარება გაენიოს იმ პირებს, რომლებსაც საცხოვრებელი ფართი სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაუზიანდა. დახმარება გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა, თანხით 48 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანებისა და გარდაცვლილთა ოჯახებისთვის, როგორც ერთჯერად, ასევე სარიტუალო და სხვა სახის მომსახურებას. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა, რომლითაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასულიერო გიმნაზიის 22 მოსწავლე სარგებლობს. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 5 ათასი ლარი. ცენტრ „იანანას“ თანადაფინანსების პროგრამა, თანხით 10 ათასი ლარი. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დევნილთა ოჯახებზე ერთჯერადად საშუალო მერქნის შესაძენი თანხის გამოყოფას 200 ლარის ოდენობით. პროგრამით ისა-

რგებლებს სულ 173 ადამიანი. ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანადაფინანსების და ეროვნული სკრინინგ-ცენტრიდან სამედიცინო დაწესებულებაში მონვეული სპეციალისტის ბნით უზრუნველყოფის პროგრამა - 8600 ლარი. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რომლითაც ისარგებლებენ ის ადამიანები, ვისაც საცხოვრებელი ფართი სტიქიის და/ან ხანძრის შედეგად დაუზიანდა, შესაბამისი სამსახურების დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის



„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამის თანადაფინანსება, ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების დახმარების პროგრამა, თანხით 10 ათასი ლარი. პროგრამა ითვალისწინებს ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. ბიკარბონატული ჰემოდიალიზი - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- 2016 წელს კვლავ გაგრძელდება, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში გზების შეკეთება. სულ მალე გამოცხადდება ტენდერი სპორტული სკოლის სრული კომპლექსის ასაშენებლად. აუცილებლად გაგრძელდება ყველა სოფელში არსებული პრობლემის მოგვარება, მოწესრიგდება გზები, ასევე მოგვარდება წყლის პრობლემა, ბუნებრივი აირით მომარაგდება სოფლები. მოკლედ, მიინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ შესრულდება ყველა ის დაპირება, რაც წინასაარჩევნოდ გაიცა მოსახლეობისთვის.



რასაც ჩვენ ვერ შევკლებთ, ჩვენზე უკეთ მოგავალი თაობა გააკეთებს...



აქართველოს მთავრობა, უკვე წლებია, მსოფლიოს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ქვეყნისთვის მნიშვნელოვან არაერთ პროექტს ახორციელებს. ამ თანამშრომლობის მიზანია ხელი შეეწყოს თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას. სტიმული მისცეს, როგორც მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას, ასევე ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების განხორციელებას. ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ ლარის არამყარ მდგომარეობისა და ეკონომიკაში წარმოშობილი ხარვეზების მიუხედავად, რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და სოფლის მეურნეობა კვლავ მთავარ პრიორიტეტებად რჩება. უკანასკნელ პერიოდში, ქვეყნის მთავრობამ მეტნაკლებად დაძლია ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი და ამოცანად კონკრეტული რეგიონების შემდგომი განვითარება დაისახა. მუშაობა რამდენიმე მიმართულებით გრძელდება - დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ინფლაციის დონის დარეგულირება. ასეთი ეკონომიკის კურსი უზრუნველყოფს პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც მოქალაქეებს, მწარმოებებსა და ინვესტორებს მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ჩოხატაურის რაიონი სრულყოფილად არის სარეგიონული ამ პროექტებში და ბოლომდე იზიარებს ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სიახლეებს. სწორედ ამ მიმართულებით, რაიონში არსებულ პერსპექტივებზე და სამომავლო გეგმებზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ირაკლი კუჭავა** გვესაუბრა.



– ბატონო ირაკლი, რა მდგომარეობა დაგხვდათ ჩოხატაურში და რა სიტუაციაა დღეისათვის?

– მოგხსენებათ, რომ უფლებამოსილების შესრულებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, 2014 წლის 14 ივლისიდან შევედექი. ამ დროისთვის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ახალი ხელისუფლების მიერ, უკვე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი დაგვხვდა განხორციელებული, რომელთა შორის აღსანიშნავია –



ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმთან, გორთაფონის მამათა მონასტერთან და უდაბნოს მონასტერთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, სოფლების შიდა გზების მოწესრიგება. საქართველოს პარლამენტის წევრის, ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი თემურ ჭკუასელის ძალისხმევით შეძენილია აუცილებელი სპეც-ტექნიკა. ჩვენდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო 15 თვის განმავლობაში ინფრასტრუქტურული პროექტების ინტენსივობა კიდევ უფრო გაიზარდა, რაც ციფრებიდან უფრო თვალნათლივ ჩანს – ამ ხნის განმავლობაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, 423 მცირე და საშუალო მოცულობის პროექტი განხორციელდა. დაბაში თერთმეტ ქუჩაზე დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი და მოეწყო კაპიტალური სანიღვრე არხები. მალე დასრულდება აგრარული ბაზრის რეაბილიტაცია. ნანგრევებისგან გავათავისუფლოთ დაბის ცენტრში, წლების წინ დამწვარი, ბავშვთა თეატრის შენობა და ნოემბრის დასაწყისში ამ ადგილას ახალ სკვერს გავხსნით.

ასტერთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, სოფლების შიდა გზების მოწესრიგება. საქართველოს პარლამენტის წევრის, ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი თემურ ჭკუასელის ძალისხმევით შეძენილია აუცილებელი სპეც-ტექნიკა. ჩვენდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო 15 თვის განმავლობაში ინფრასტრუქტურული პროექტების ინტენსივობა კიდევ უფრო გაიზარდა, რაც ციფრებიდან უფრო თვალნათლივ ჩანს – ამ ხნის განმავლობაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, 423 მცირე და საშუალო მოცულობის პროექტი განხორციელდა. დაბაში თერთმეტ ქუჩაზე დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი და მოეწყო კაპიტალური სანიღვრე არხები. მალე დასრულდება აგრარული ბაზრის რეაბილიტაცია. ნანგრევებისგან გავათავისუფლოთ დაბის ცენტრში, წლების წინ დამწვარი, ბავშვთა თეატრის შენობა და ნოემბრის დასაწყისში ამ ადგილას ახალ სკვერს გავხსნით.

– კიდევ რა მიმართულებით შეინიშნება წინგადადგმული ნაბიჯები?

– ყურადღება რამოდენიმე პროექტზე მსურს გავამახვილო – ახლახან დასრულდა დაბის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რის შედეგადაც, 1100 რეგისტრირებულ აბონენტს, 24 საათის განმავლობაში, თანამედროვე, საქლორატოროში დამუშავებული წყალი მიენოდება. აქტიურ ფაზაშია ადგილობრივი თეატრის მშენებლობა. მიმანია, რომ ჩოხატაურის წარსული, ანმყო და მომავალი ნამდვილად იმსახურებს თანამედროვე კულტურის ცენტრს, რომლის მშენებლობა მომავალი წლის შემოდგომაზე დასრულდება და ნაგებობა მთლიანად შეცვლის დაბის ცენტრის იერსახეს, მოწესრიგდება თეატრალური მოედნის მიმდებარე შენობების ფასადები, გვექნება ახალი სამხატვრო გალერეა.

– მთლიანად, რაიონში რა ვითარებაა ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით?...

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა გზების მოწესრიგება ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დაიწყო. ჩვენ, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა, შეგ-



ნებულად ვთქვით უარი გზების მოხრეშვაზე, რადგან სანიაღვრე არხების გარეშე ეს წყალში გადაყრლი ფულია. შესაბამისად, ციკაბო ასასვლელებში ბეტონის ან ასფალტო-ბეტონის მონაკვეთების მონყობას ვცდილობთ. რამდენიმე სოფელში – ბუკისციხე, ფარცხმა, შუამაღლეა, ბასილეთი, ბუკნარი – უკვე მოწესრიგებულია ან დასრულების სტადიაშია კულტურის სახლები, რომელთა დარბაზებს მოსახლეობა სარიტუალო დანიშნულებითაც იყენებს. გაიზარდა შიდა სასოფლო განათების ქსელი. სოფელ ზემო სურებს, რომელსაც 15 წლის განმავლობაში სისტემური ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა დღეს ეს პრობლემა საბოლოოდ მოეხსნა და ადგილზე ინდივიდუალური მრიცხველები დამონტაჟდა. გარდა ამისა, სუფსის ხეობაში უნიკალური პროექტი ხორციელდება. წლის ბოლოსთვის დასრულდება 7 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა და დიდუანის ცენტრთან დაკავშირება, რომელიც პრაქტიკულად გაუფალი იყო, გაფართოებული და რეაბილიტირებული გზის საშუალებით იქნება შესაძლებელი. უფრო მეტიც – მიმდინარეობს მუშაობა სუფსის ხეობაში 17 კილომეტრიანი მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის საფარის მონყობის პროექტზე. ამ საკითხებში ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ, როგორც საქართველოს მთავრობასთან, ისე ხეობის მოსახლეობის ინტერესების გამომხატველ საინიციატივო ჯგუფთან.

- მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა კარგია, მაგრამ მთავარი მაინც ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პაკეტის შეთავაზებაა...

– მიხედავს კუთრებით აღვნიშნო, რომ ამ მხრივ ჩოხატაურში მართლაც გამოჩენილი მდგომარეობაა. 2013 წლამდე ჩვენთან მხოლოდ ერთი მოუწესრიგებელი ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება არსებობდა, რომელიც წინა ხელისუფლებამ სიმბოლურ ფასად გაასხვისა. ხშირი იყო პაციენტების ჩივილი და სამედიცინო პერსონალის გაფიცვები. უკანასკნელ პერიოდში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ჩვენთან ორი თანამედროვე კლინიკა გაიხსნა, სადაც ექიმებს საკმაოდ მაღალი ხელფასები აქვთ, ხოლო პაციენტები თითქმის უსასყიდლოდ გადაიან მკურნალობის კურსს. მიმაჩნია, რომ თუ არ იქნა ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, პრევენციული ღონისძიებები, უფასო მშობიარობა, ყველა ახალშობილზე და ყველა მესამე შვილზე ფულადი დანამატი და სხვა სოციალური ნაბალებები, ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული სურათი კიდევ უფრო დამძიმდება. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით გამოყოფილ თანხებს არც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ვიშურებთ - 925 ბენეფიციარის თანადაფინანსებამ 204 ათასი ლარი შეადგინა, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ 1500 ოჯახს გაენია ერთჯერადი ფულადი დახმარება, ხოლო 103 ოჯახს საცხოვრებელი პირობების მოწესრიგებაში დავეხმარეთ. მხოლოდ მიმდინარე წელს, მუნიციპალურ ბიუჯეტში სოციალური პროგრამების დაფინანსებამ თითქმის ნახევარი მილიონი ლარი შეადგინა.

- მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარების გეგმები როგორ გეხსახებათ?

– ადგილობრივი ბიუჯეტი რომ გაიზარდოს და მოსახლეობის საკეთილდღეოდ მეტი ფინანსები დაეხარჯოს, შემოსავლების უწყვეტი მატებაა აუცილებელი. სწორედ ამიტომ, რეგიონში კერძო ბიზნესის წარმატების თითოეული ფაქტი ძალიან გვახარებს. აღსანიშნავია, რომ განუხრელად ვითარდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსების ერთ-ერთი მთავარი წყარო – ნაბეღლავის ჩამომსხმელი ქარხანა. ახლახან, სამთავრობო პროგრამის თანადაფინანსებით, ჩოხატაურში ახალი სანარმო შეიქმნა, რომელიც ბიზნესმენმა ზურაბ ჩხაიძემ დააფუძნა. ამ სანარმომ უკვე 7 სახეობის პროდუქციას უშვებენ და 35 ჩოხატაურელია დასაქმებული. ასევე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო პროფილის კოოპერატივები, ორმა მათგანმა, ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა.

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ შემოსავლების გაზრდას ტურისტული პოტენციალის განვითარებაც შეუწყობს ხელს, ამიტომაც ჩვენი თვითმმართველობა, ამ კუთხით, აქტიურად თანამშრომლობს, როგორც სახელმწიფოსთან ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამის შედეგია განხორციელებული პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევასა და მონაცემთა ბაზის შექმნას ემსახურება. ამ სფეროში ჩვენი აქტივობები მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ტურისტულ ბიზნესში, ახალი ტურისტული მარშრუტების დადგენას და სააგენტოებისთვის შეთავაზებას, ტრადიციული რენვის განვითარებასა და ინგლისურენოვანი გიდების მომზადებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ კურორტ ბახმაროს პოტენციალის კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას. ჩვენი მიზანია, ბახმაროს ზამთრის კურორტად ვაქციოთ. აღსანიშნავია, რომ სულ ახლახან, ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩავერთეთ, რომელიც მიზნად რეგიონში ტურიზმის განვითარების კონცეფციის შექმნას ისახავს.

- თქვენი სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები როგორია?

– ჩვენი პრიორიტეტები მუნიციპალიტეტის განვითარების სამწლიან სამოქმედო გეგმაშია განერილი, რომლის მიხედვით, კვლავაც გავაგრძელებთ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, გამოსწორებას სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, დაგეგმილია სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია, ყოფილი სამშობიარო სახლის ბაზაზე განზრახულია სოციალური საცხოვრებლის მშენებლობა. თუმცა, უმთავრესი, რასაც ჩემს კოლეგებთან ერთად ვცდილობ, მომავალ თაობაზე ზრუნვა გახლავთ. მიმაჩნია, რომ ქვეყნის მთავარი რესურსი განათლებული, მიზანსწრაფული ადამიანია. ჩვენ უკვე გვყავს ასეთი წარმატებული ახალგაზრდები, რომლებმაც სასწავლო პროგრამები ამერიკასა და ევროპის უნივერსიტეტებში გაიარეს. ამიტომაც ვცდილობთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ თუნდაც მცირე პროექტები და ვ უ ფ ი ნ ა ნ ს ო თ ჩვენს მოსწავლეებს. მომავალ თაობას მივცეთ პატიოსანი მსახურების მაგალითი და დარწმუნებული ვარ, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ, ჩვენზე უკეთ მომავალი თაობა გააკეთებს.





სოფლის განვითარებულ ქვეყნებში, ძირეული პრობლემების მოწესრიგებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირებისა თუ მექანიზმების ძიება და მათი სრულყოფა, რაც შესაძლებელს გახდის სახელმწიფოს პოტენციური სრულად იქნას გამოვლენილი. რაც შეეხება საქართველოს, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, მისი თანმიმდევრული განვითარების პრობლემა, უპირველესად ტერიტორიულ ერთეულთა ინფრასტრუქტურულ არასტაბილურობასთან იყო დაკავშირებული. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ტურიზმი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახლავთ. სვანეთი კი ის ადგილია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვიზიტორების მოზიდვის კუთხით, მუდამ ერთ-ერთ მონინავე რეგიონად ითვლება და უზარმაზარი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ალპური ბუნება, ეთნოგრაფიული რარიტეტები, შუა ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლები, კოშკები, უნიკალური



ახალი პროექტები მომავალშიც დაიგეგმება

ლანდშაფტი და დათოვლილი მყინვარწვერები სამუდამოდ იპყრობენ მთამსვლელთა და მოგზაურთა



ყურადღებას. საქართველოს ეს პატარა კუთხე გაცილებით ბევრ ტურისტს მიიზიდავდა და მეტ შემოსავალს მოუტანდა, როგორც ქვეყანას, ისე ადგილობრივ მოსახლეობას, რომ არა წლების მანძილზე არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები - სახელმწიფოს მხრიდან ნაჩქარევი, არასწორად განხორციელებული პიარი და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა. საბედნიეროდ, დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს გაცილებით ეფექტურად გამოიყენოს ამ მუნიციპალიტეტის ბუნებრივი გარემო - ლამაზი ბუნება, ჯანსაღი კლიმატი და უნიკალური ლანდშაფტი, რაც საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ზოგადად ტურიზმის განვითარებისთვის. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **კაპიტონ შოჩოლიანს** მიაჩნია, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურის პირობებში, სვანეთის ეგზოტიკური, ხალასი, თვითმყოფადი და იდუმალებით მოცული მთის სამყარო ტურიზმის განვითარებისათვის კიდევ უფრო იდეალურ პირობას შექმნის...

- ბატონო კაპიტონ, როგორ მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები?

- მესტიის რაიონში აღმშენებლობითი მუშაობა განუწყვეტლივ და მთელი სიძლიერით გრძელდება - ჭუბერის ტერიტორიულ ერთეულში, ცენტრალური საავტომობილო გზის 4.1 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელთა ღირებულება 3 600 000 ლარს შეადგენს. ამ ეტაპისთვის დასრულებულია არსებული დაზიანებული საფარის მოხსნა და ბეტონის მასა 2417 მეტრ მონაკვეთზე დაგებული. პროექტის ფარგლებში მოენყო სამი რკინა-ბეტონის და ოთხი ლითონის მილხიდი, 2000 მ3

მოცულობის გაბიონების მშენებლობა დასრულებულია. გარდა ამისა, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, ნაპირდამცავი გაბიონების მშენებლობა დასრულდა სოფელ ქვემო მარღში. დაბა მესტიის, ლენჯერისა და ლატალის ტერიტორიული ერთეულებში ცენტრალური გზის რამდენიმე მონაკვეთზე დასრულდა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მონტაჟი. ლატალის და ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში მოენყო გარე-განათების სისტემა. ამასთან ერთად, დაბა მესტიისში მიმდინარეობს უშბის, აღმაშენებლისა და გელოვანის ქუჩების რეაბილიტაცია, რაც გზის საფარის დაგებას, საყრდენი კედლებისა და სანრეტი არხების მშენებლობას გულისხმობს,

- რაც შეეხება სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს?

- სიახლეები, მართლაც ბევრია. აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციაში შევიდა სოფელ ხაიშის სასმელის წყლის სისტემა, მდინარე ხაიშურაზე აშენდა წვირ-მინდში გადასასვლელი სამანქანო ხიდი და სოფელ ვედში მიმავალი გზის დამცავი გაბიონი. ლახამულაში, მდინარე ტვიბრაზე, სრულდება 1 724 470 ლარის ღირებულების რკინაბეტონის ფილებით არხის მშენებლობა, რომელიც საბოლოოდ აღმოფხვრის, როგორც ცენტრალური გზის ამ მონაკვეთზე გადაადგილების სირთულეს, ასევე სოფლის დამენყვრის საშიშროებას. ხაიშში, ეცერში და უშგულში დასრულებუ-



ლია სასმელი წყლის სისტემის მოწყობის პირველი ეტაპი, ფარში ექსპლუატაციაში შევიდა წყალარინების სისტემა, ბერში საგზაო დეპარტამენტის ჩართულობით მიმდინარეობს ცენტრალური გზიდან შიხრის მიმართულებით 10 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია, ხოლო ლატალში მოსახლეობის მოთხოვნით გაკეთდა მოსახლეობისთვის აუზდენელ ოცნებად ქცეული ენგურზე გადასასვლელი „ლაკას“ ხიდი. ბეტონის გზა დაიგო მესტია-უშგულის 12 კილომეტრიან მონაკვეთზე. აღსანიშნავია, რომ ჭუბერში და ნაკრაში შენდება ევროპული სტანდარტების საბავშვო ბალის შენობები. მომავალი წლისთვის კი მსგავსი სტანდარტების ბაგა-ბალები უკვე 14 სოფელში გვექნება. ლატალის ტერიტორიულ ერთეულში დასრულებულია გურამ თიკანაძის სახელობის სპორტ-სკოლის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ამ ეტაპზე დარჩენილია გათბობის სისტემისა და საშხაპების მოწყ-

ზემოთ უკვე მოგახსენეთ რაიონში მომავალ წელს ახალი, თანამედროვე ტიპის ბაგა-ბალების მშენებლობის თაობაზე, გარდა ამისა, აღსანიშნავია ჩვენი მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტი პირველკურსელ სტუდენტთა სწავლის თანადაფინანსების შესახებ, რომლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა მათ 1000 ლარით ეხმარება. ჩვენთვის სწორედ მომავალი თაობაა პრიორიტეტული და მზად ვართ ამ კუთხით წარმოდგენილ ყველა პროექტს დაუჭიროთ მხარი. სწორედ ამიტომ კულტურის, სპორტის და სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით დაფინანსება საბოლოო ჯამში გაორმაგდა. ასევე აღსანიშნავია, მულაში მიმდინარე ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომლის ღირებულება 2 159 260 ლარია, მომავალი წლის ივნისის თვეში უნდა დასრულდეს. გაისად, ასევე დაგეგმილი გვაქვს დაბა მესტიაში, ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის რეკონსტრუქცია, რომლის სავარაუდო ღირებულება გახლავთ 4 480 000 ლარი. პროექტის 85 % მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდება, ხოლო 15 % ადგილობრივი ბიუჯეტი დააფინანსებს. ჩვენთვის ერთ-ერთ პრობლემად რჩება მყარი ნარჩენების მართვის საკითხი. არ გვაქვს მუნიციპალური ნაგავსაყრელი. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებული გვაქვს და ამენებულა ნაგვის გადაზიდვი სადგური, თუმცა პრობლემად რჩება სპეციალური ტექნიკის უქონლობა. ასევე შემუშავებული გვაქვს საპროექტო ნინადადება სადაც განერილია მუნიციპალიტეტის დასუფთავებისთვის ყველა საჭირო ღონისძიება. ამ მიმართულებით თანხების მოძიებაზე აქტიურად ვმუშაობთ მთავრობასთან ერთად. საერთო ჯამში, მესტიის მუნიციპალიტეტში ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ 16 214 309 ლარი შეადგინა (დაფინანსების სხვადასხვა წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი, რეგიონული განვითარების ფონდი, სტიქიის სალიკვიდაციო თანხები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა). მინდა დიდი მადლობა გადაუხადო ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ ვიქტორ ჯაფარიძეს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს, ბატონ სოზარ სუბარს და საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ მაიზურ ჯაფარიძეს, რომელთა განსაკუთრებული ძალისხმევა და კოორდინირებული მუშაობა მაძლევს იმის იმედს, რომ მომავალშიც დაიგეგმება და განხორციელდება ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტები, რომელსაც ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოსახლე საკუთარ თავზე რეალურად იგრძნობს.



ობა. პროექტის ღირებულება 222 220 ლარს შეადგენს.
– მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა უფრო გაზრდის ტურისტთა რაოდენობას...

– მესტიის შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, ლამაზი ბუნება, ჯანსაღი კლიმატი და მინერალური წყლები საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის. გარდა ამისა, სვანეთში გვაქვს საუცხოო ფოლკლორი, ხალხური რენვის, ხეზე კვეთის, სხვადასხვა სახის მენარმეობის ნიმუშები, უნიკალური სამზარეულო. ჩვენი ძეგლები თავისი ხასიათით ნამდვილად განსაკუთრებულია, ამიტომ სვანეთს, როგორც დიდი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მქონე რეგიონს, შესანიშნავი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ბევრი ტურისტისთვის ქვეყნის მონახულების მოტივაცია ძირითადად სვანეთს უკავშირდება, შესაბამისად ჩვენი რეგიონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მდგრადი ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სწორედ ამიტომ, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყველა ღონეს ხმარობს, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესოს ზოგადი ინფრასტრუქტურა და როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელ ვიზიტორთა დასასვენებელი გარემო უფრო ეფექტური და სასიამოვნო გახადოს. ამის დასტურად, წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შევა თეთნულდის სათხილამურო ტრასების ნაწილი, ხოლო საბაგიროებს, საათში ოთხი ათასი ტურისტის გადაყვანის პოტენციალი ექნება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას და უამრავი ადგილობრივი მოსახლის დასაქმებას. ამ უნიკალური პროექტის საერთო ღირებულება 100 მილიონი ლარია და მას საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობა აფინანსებს.

– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?
 – ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მომავალი თაობების აღზრდა-განათლება.





ავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკა რეგიონალური და გლობალური გამოწვევების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა. უკანასკნელ პერიოდში, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტის შემცირებამ ლარის გაცვლით კურსზე მნიშვნელოვანი ზენოლა მოახდინა და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა გარკვეულწილად შენედა. სიტუაციის სასწრაფოდ გამოსასწორებლად, საქართველოს მთავრობამ გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგია შეიმუშავა, რომელშიც განვითარების მთავარი ასპექტები ნათლად არის გამოკვეთილი. სხვა მიმართულებებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცენტრიდან რეგიონებზე გადანაწილებულ პასუხისმგებლობას, რაც ქვეყნის სამომავლო განვითარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. დეცენტრალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ძლიერი მუნიციპალიტეტები და ადგი-

ამორჩევლის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა გვახისრია



ლობრივი ხელმძღვანელობა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის ძირითადი გარანტი უნდა გახდეს. რეგიონების ინფრასტრუქტურული და სოციალურ-კულტურული განვითარება, დიდწილად, სწორედ პერიფერიებზეა დამოკიდებული. სამტრედიის რაიონში კარგად ესმით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნებისმიერი მუნიციპალური ერთეულის როლი ქართული სახელმწიფოს განვითარების საერთო საქმეში და მზად არიან საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის წარმატებებს ბოლომდე მოახმარონ. შესაბამისად, აქტიურად განიხილება მოსახლეობისა და მუწარმეთა პრობლემები. დღის წესრიგში დგას ინფრასტრუქტურული და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია. ფაქტია, რომ ამ სექტორში არსებულ სიახლეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობას მთელი რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **პალეჩიანე ფოცხვერია** მიმდინარე საკითხებზე და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე გვესაუბრა.

- ბატონო ვალერი, რა სიახლეებია რაიონში?...


- მოგესვენებათ, ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადგენს, ამიტომ, მუნიციპალიტეტის სტრატეგია, ძირითადად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას მოიცავს. შარშან დანყებულ სამუშაოებს, წელს რამოდენიმე ახალი პროექტი დაემატა. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სამტრედიის

ქუჩების რეაბილიტაციის კუთხით. ჭანტურიას, ფაღავას, წერეთლის, რუსთაველის, ჭავჭავაძის ქუჩებზე და ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა სანიაღვრე არხების განმენდა-გაფართოების, კედლების გამაგრების და ბოგირების მონყობის სამუშაოები. ეს პრობლემა წლების განმავლობაში მოსაგვარებელი გახლდათ, თუმცა რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით და ჩვენი, ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით ყველაფერი დროულად მოგვარდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგეობის უშუალო მონაწილეობით და კომუნალური სამსახურის დახმარებით, მელაურის საჯარო სკოლასთან გაიჭრა წყალსანრეტი არხი, რომელიც სკოლის ეზოს და მიმდებარე ტერიტორიას წვიმიანი ამინდების დროს დატბორვისგან დაიცავს. ამასთან ერთად, მოიხრეშა შესასვლელი ეზო და ჩაიდგა ბოგირი, რომელიც წყლის ნაკადს გაატარებს და მდინარე ჭურთხევასთან შეუერთებს. გომის თემში, სოფელ მთისძირში, ჩატარდა 1400 გრძივი მეტრი არხის რეაბილიტაცია, ხოლო სოფელ კორმარალში, მდინარე კაპიტონაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები დასრულდა. ქორეისუბანში მოხდა წყლის სისტემის რეკონსტრუქცია და სოფელს წყლის პრობლემა ნაწილობრივ მოეხსნა. აღსანიშნავია, რომ სტიქიით მიყენებული ზარალის აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში, წყალსადინარი არხები გაინმინდა და გაფართოვდა სოფელ ჭაგანში. ცხენისწყლის შენაკადი არხი ძლიერი წვიმების დროს ადგილობრივი მოსახლეობის და მიმდებარე ქუჩების დატბორვას იწვევდა, ამიტომ სამუშაოები სპეციალური ტექნიკით, 2,5 კმ-იან მონაკვეთზე ჩატარდა. გარდა ამისა, ცალკეულ ობიექტებზე წარმატებით განხორციელდა სადრენაჟე სისტემების მოწესრიგება და ნაპირსამაგრი სამუშაოები.



- როგორც ვიცით, საბავშვო ბაღების საკითხს რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა...

- სკოლამდელი დანესებულების გაერთიანებისა და ჩვენი გამგეობის ძალისხმევით, წელს, ყველა ბაგა-ბაღში, სველი წერტილებისა და სამზარეულო-საკუჭნაოების სრულად გარემონტება განხორციელდა. მონესრიგდა საძინებლები და შესასვლელი დერეფნები, ჩატარდა გადახურვითი სამუშაოები. ამ მნიშვნელოვანი პროექტის დასრულება რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით გახდა შესაძლებელი. მიმდინარე სამუშაოები პირად კონტროლზე მყავდა აყვანილი და მათ მუდმივ მონიტორინგს ვახორციელებდი. მცირედი ხარვეზების მიუხედავად, საერთო ჯამში, შესრულებული სამუშაოებით კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს ხარისხს და მდგრადობას დრო გამოცდის. მოგეხსენებათ, ჩვენთან, ქალაქის და სოფლის მასშტაბით, დაახლოებით 1700 აღსაზრდელია, რომელსაც 302 თანამშრომელი ემსახურება და ისინი იმ სტანდარტის მეტნაკლებად შესაბამის სერვისს იღებენ, რომელიც მუნიციპალიტეტს მკაცრად აქვს განსაზღვრული. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ ის, რომ სააღმზრდელო დანესებულებებში თანამშრომელთა ხელფასი 25%-ით გაიზარდა. ჩვენ კარგად გვესმის ბაგა-ბაღის აღმზრდელს რაოდენ დიდი შრომა სჭირდება, სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ და დარწმუნებული ვარ, სისტემაში ცვლილებები კვლავაც გაგრძელდება.



- სოციალურ პროგრამებს რაც შეეხება?

- ჩვენმა ხელისუფლებამ, ბოლო 3 წლის განმავლობაში საქმით დაამტკიცა, რომ მკვეთრად სოციალურად ორიენტირებული მთავრობაა. როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ

ბიუჯეტში უპრეცედენტოდ გავზარდეთ სოციალური ხარჯები. შევძელით მათი მაქსიმალურად რაციონალურად და გონივრულად აკუმულირება და მათი მიზნობრივად განაწილება ჩვენი მოსახლეობისთვის სოციალურად ორიენტირებულ საქმიანებზე. რაიონში მოვანესრიგეთ დაზღვევის პრობლემები, აქტიურად ვახორციელებთ სხვადასხვა პროფილის პროგრამებს, ფუნქციონირებს სათნოების სახლი და სპეციალური სასადილო სოციალურად დაუცველთათვის, რაშიც საპატრიარქო გვეხმარება და ამ საქმიანობას მამა შიო უდგას სათავეში. გარდა ამისა, ახლახან, სამტრედიაში დიალექსის ცენტრი გაიხსნა, სადაც კვალიფიციური ექიმები პაციენტებს თირკმელთან დაკავშირებული ყველა სახის საჭირო პროცედურებს ჩაუტარებენ. დღეისათვის, სამტრედიაში დიალექსზე დამოკიდებული 33 ბენეფიციარია, რომლებისთვისაც ადგილობრივ ხელისუფლებას ყოველთვიურად 200 ლარის დახმარება აქვს გამოყოფილი. აღნიშნული კლინიკის გახსნით, პაციენტებს პროცედურის ჩატარება ადგილზე შეეძლებათ, რაც თითოეული მათგანისთვის დიდი შედეგია.

- დასაქმება ალბათ თქვენს მუნიციპალიტეტშიც მტივიწვეული საკითხია...

- უმუშევრობა მართლაც მძიმე ტვირთად აწვეს მოსახლეობას. ამის აღმოსაფხვრელად, მუნიციპალიტეტის გამგეობა მაქსიმალურად უწყობს ხელს მცირე თუ მსხვილი ბიზნესის განვითარებას. ხორციელდება რამოდენიმე მსხვილმასშტაბიანი პროექტი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებული. ქუთაისი-ხონი-სამტრედიის ავტომობილსტრასაზე იგეგმება 6 კმ-იანი მონაკვეთი, რომელიც კულაშის, ჭაგნის, მიმდებარე სოფლებისა და სამტრედიის მოსახლეობას მოემსახურება. გარდა ამისა სამტრედიაში გაიხსნა ახალი სანარმო და მაღაზია, რომელიც მაღალიხარისხის სამშენებლო მასალების წარმოება-რეალიზებას ეწევა. ობიექტზე, ამ ეტაპზე, 50 ადამიანია დასაქმებული და მომავალში მათი რაოდენობის გაზრდა იგეგმება. მუნიცი-



პალიტეტში მოქმედებს სპორტული მაისურების მწარმოებელი თურქული კომპანია და ჰოლანდიური სასაბურთო მეურნეობა, რომელშიც მალიონზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო. ამ ობიექტებზე ასევე რამოდენიმე ასეული ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული, თუმცა ვაღიარებ, რომ ეს ზოგად მასშტაბებთან შედარებით, ზღვაში წვეთია.

- სამომავლოდ რა სიახლეები იგეგმება?

- მომავალში, კვლავ გაგრძელდება რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარე სამუშაოები, რომლებიც ძირითადად გზების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. რამოდენიმე ქუჩაზე განხორციელდება ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება, გაგრძელდება სანიაღვრე არხების განმენდა-გაფართოების, კედლების გამაგრების და ბოგირების მოწყობის სამუშაოები. დღეისათვის, ამ პროექტების განხილვას, სამხარეო ადმინისტრაციაში შექმნილი სპეციალური კომისია ახდენს, სადაც ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება. გარდა ამისა, დიდი გეგმები გვაქვს მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით. ვაპირებთ ადგილობრივი სტადიონის რეაბილიტაციას და სპორტის სასახლის აშენებას, საცურაო აუზზე მოხდება თანამედროვე ჰელიო სისტემების მოწყობა, რაც ხარჯებს მკვეთრად შეამცირებს. მაქსიმალურად ვეცდებით არ მოვერიდოთ ხალხის პრობლემების მოსმენას, ახლოს ვიყოთ თითოეულ მათგანთან და მჭიდრო ურთიერთობა გვქონდეს, რათა მომავალშიც ეფექტურად ვიმუშაოთ ჩვენი რაიონის და მთლიანად ქვეყნის წარმატებისთვის.



შპს “კავკასენერჯ”

www.kavkasenerj.com

საქართველო, ქ.გარდაბანი, აღმაშენებლის 6/52
energoremont.com@mail.ru



“კავკასენერჯორემონტის” ძირითად საქმიანობას ენერგორემონტოლოგიატა სამონტაჟო-სარემონტო სამუშაოების შესრულება, სხვადასხვა სარემონტო-საშენებლო სამუშაოები და ენერგოსისტემების სვეცილიზირებული ხელსაწყოებითა და დანადგარებით მომარაგება წარმოადგენს.

მრავალდარგოვან ფირმას, ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების სათანადო მოწყობილობა-დანადგარების საშუალებით შესასრულებლად, ყველა სათანადო ლიცენზია გააჩნია.

ამჟამად მიმდინარეობს თბილისის სასტუმროს თბოგაყვანილობის სისტემის მონტაჟი და ყვარლის რაიონში მცირე ჰესის “ინსტობა 1”-ის მშენებლობა.



ერგორემონტი

energoremonti.ge

Agmashenebeli str. 6/52, Gardabani, Georgia,
energoremont.com@mail.ru



კომპანია წარმატებით ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს, დაკომპლექტებულია ღირებული გამოცდილებითა და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით.



მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო თუ სერთიფიკატი.



ორგანიზაციის ღირებუტორს, ბატონ გაქარია ისკანდაროვს, გადაეცა ორდენები "ეკონომიკის ვარსკვლავი" და "ჰროფესიული დამსახურებისთვის".



2015 წლის 6 ივლისი - ესპანეთის გაერთიანებული სამეფოდან - მიწვევა დაჯილდოებაზე „INTERNATIONAL AWARD FOR EXCELLENCE & LEADERSHIP“



2015 წლის ოქტომბერი - ჯილდო "დარგის ლიდერი".



KONVENT GEORGIA

აიუხედავად იმისა, რომ საქართველო დიდი მასშტაბების ქვეყანა არ გახლავთ, თუკი მას რეგიონალური ცენტრის ფრთხილში განვიხილავთ, იგი არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ცენტრს, არამედ ცენტრალური აზიისა და ევროკავშირის ერთგვარ დამაკავშირებელსაც წარმოადგენს. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების“ ძალაში შესვლის შედეგად, საქართველოში მყოფ ინვესტორებს შესანიშნავი ბიზნეს-გარემო, ადგილმდებარეობა და უკვე 900 მილიონიან ბაზარზე წვდომა განსაკუთრებულ სტიმულს მატებს. ნლების განმავლობაში, ჩვენს ქვეყანას შესანიშნავი ურთიერთობა აქვს წარმატებულ მეზობელთან, აზერბაიჯანთან, რომელთან ერთადაც მსხვილი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამშენებლო, ენერჯო და სატრანსპორტო პროექტები ხორციელდება. დღეისათვის, აზერბაიჯანული კერძო კომპანიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში და მათი წვლილი ძალზედ მაღალია, როგორც დასაქმების, ისე საერთო ბრუნვის მაჩვენებლებში. სამშენებლო კომპანია „KONVENT“-მა რომელიც წარმატებულად მოღვაწეობს აზერბაიჯანში, საკუთარი საქმიანობის არეალი საქართველოშიც განავრცო. ამ სიახლეებზე, განხორციელებულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე კომპანია „KONVENT GEORGIA“-ს აღმასრულებელი დირექტორი, ბატონი ათრაფ ალექპეროვი გვესაუბრა.



– ბატონო ათრაფ, როდის ჩამოყალიბდა თქვენი კომპანია?

– კომპანია „KONVENT“ აზერბაიჯანში 5 წლის წინ, ბატონ ანარ ალექპეროვის თაოსნობით ჩამოყალიბდა და იმ დღიდან მოყოლებული, ბაქოში უზარმაზარი მასშტაბის სამუშაოები აქვს შესრულებული. ჩვენი პორტფოლიო მდიდარია ისეთი მასშტაბური ობიექტებით, როგორცაა „შერატონი“ ისმაილოვის რაიონში, ადგილობრივი სპორტული ფედერაციის რეგიონალური ცენტრი, მეტროს სადგურის და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში, ჩვენი კომპანიის ბრუნვამ, ორას მილიონ მანათს გადააჭარბა.

– გვიამბეთ საქართველოში თქვენი მოღვაწეობის შესახებ...

– საქართველოს ბაზარზე ამ წლის თებერვალში შემოვედით და კომპანია „KONVENT

GEORGIA“ ჩამოვყალიბეთ. მას შემდეგ, ადგილობრივ ტენდერებში აქტიურად ვმონაწილეობთ. დღეის მონაცემებით, ჩვენი ძალიხმევით, თელავში დასრულებულია 4 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი და ყველა მათგანი გამართულად ფუნქციონირებს. გარდა ამისა, წარ-



მატებით ვთანამშრომლობთ ვეტერანთა დეპარტამენტთან, ბატონი ირაკლი შიხიაშვილის ხელმძღვანელობით. პროექტის ღირებულება, რომელსაც ამჟამად ერთობლივად ვახორციელებთ 2 200 000 ლარს შეადგენს.

– უფრო დეტალურად გვითხარით პროექტის თაობაზე...

– პროექტის ფარგლებში, რომელიც ბატონი ირაკლის ინიციატივით ხორციელდება, დაგეგმილია ერთიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რაც ომის ვეტერანებისთვის განკუთვნილ სამსართულიან კორპუსს, მასში განთავსებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს და საოფისე ფართებს აერთიანებს. პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს საერთო-სარემონტო

სამუშაოები, ხოლო მომავალი კვირიდან კომპანია მუშაობის 24 საათიანი რეჟიმზე გადაერთვება, ვინაიდან, მშენებლობა 2016 წლის აპრილში უნდა ჩაბარდეს და ექსპლუატაციაში გაეშვას.

– რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული თქვენს კომპანიაში ?

– ჩვენი კოლექტივი ორი ათეული თანამშრომლისგან შედგება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეები არიან. მათი პროფესიონალიზმი და საკუთარი საქმის ცოდნა ნამდვილად მისასალმებელია და კომპანიის წარმატებაც სწორედ ამ ფაქტორებზეა დამყარებული. გარდა ამისა, აქტიურად ვთანამშრომლობთ რამოდენიმე ადგილობრივ კომპანიასთან, რომლებიც სამშენებლო მასალებით გვამარაგებენ. მათ შორის აღსანიშნავია შპს „ჯეკო“. ჩვენი ურთიერთობა თავიდანვე ნაყოფიერად დაიწყო და დღემდე ასე გრძელდება

– ზოგადად, საქართველოში მოღვაწეობას როგორ შეაფასებდით?

– თქვენმა ქვეყანამ წარმატებული ბიზნეს-გარემოს ფორმირებისათვის გრძელი გზა გაიარა. შექმნა ძლიერი ინსტიტუტები, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირებისა და წარმოების ოპერირების ძლიერი ბაზა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის საქართველოში ბიზნესის კეთება ძალიან გამარტივებულია. მინდა აღვნიშნო, რომ „**KONVENT GEORGIA**“ განსაკუთრებით კმაყოფილია არსებული ხელსაყრელი პირობებით და კანონმდებლობით. ქართველები ყველგან კარგად გვხვდებიან და ცდილობენ მაქსიმალური დახმარება გაგვინიონ ჩვენი გეგმების განხორციელებაში.

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– სამომავლოდ, აქტიურად გავაგრძელებთ ტენდერებში მონაწილეობას და ჩვენი სპეციალიზაციით მუშაობას. როგორც აღვნიშნე, ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებას უკვე მივაღწიეთ, ხოლო 2016 წლიდან „**KONVENT GEORGIA**“ რამოდენიმე ახალ პროექტს განახორციელებს – საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ათ მილიონიანი საერთო ინვესტიციით, ბათუმში, ტენდერში გამარჯვების შედეგად, ოთხი ხუთთარსკვლავიანი სასტუმროს აგება და ფართომასშტაბიანი მშენებლობა ზუგდიდში, სადაც ამ ეტაპზე ტექნიკურ დოკუმენტაციების შეთანხმება მიმდინარეობს. ასე, რომ 2016 წლისთვის ჩვენს მიერ ასათვისებელი სამშენებლო სამუშაოების საერთო ჯამი დაახლოებით ოცდაათი მილიონი დოლარი იქნება.



KONVENT GEORGIA



GCBB

საქართველოს ცენტრალური
სისხლის ბანკი -

სიცოცხლის საღარაჯოა

„საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ თავისი დაარსებიდან 80 წელს ითვლის. 1932 წელს, აკადემიკოს გ. მუხაძის ხელძღვანელობით ჩამოყალიბდა სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგურის სახელწოდებით. 2010 წლის მარტში ქართველი ინვესტორის და ქველმოქმედის, ქალბატონ ნატო კვანტალიანის მიერ მოხდა სს „სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის“ შესყიდვა და მისი მოდერნიზება. სახელმწიფოს წინაშე აღებული იქნა ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში ინვესტიციის განხორციელებას და ახალი ბანკის შექმნას. ცენტრს გაუკეთდა მოდერნიზება და 2010 წლის აგვისტოდან სამსახური გადაკეთდა შპს „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“. ცენტრალური სისხლის ბანკი ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი საბაზისო ცენტრი იყო და ადგილმდებარეობითაც და პროდუქციის ხარისხით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შენარჩუნება დღესაც ხორციელდება. აქ დასაქმებული ადამიანებისთვის პრინციპული პრიორიტეტი ხარისხია. აცნობიერებენ რა, პაციენტის ისედაც მიძიმე ნუთებში, როცა მას სისხლი ესაჭიროება და სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილშია კიდევ არ დაუმძიმდეს მდგომარეობა დაშვებული შეცდომით. აქ მომსახურება ყველა უმაღლესი და საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ხდება, რაც მკაცრად კონტროლდება. კომპანია ითვლის არაერთ სისხლის გაჩუქების საქველმოქმედო ღონისძიებას. სისხლის გაცემა არ არის კონკრეტული ავადმყოფებისთვის ან ლეიკემიით დაავადებულთათვის. კომპანიის დევიზია – სისხლი ყველას, ვისი სიცოცხლეს საფრთხეშია!



GCBB-

ძირითადად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ხარისხის მომსახურებითა და პროდუქციით ნელ-ნელა მთელს ამიერკავკასიაში იმკვიდრებს ადგილს. უანგარო დონორებისთვის კომპანიამ შეიმუშავა დაზღვევის პრინციპი მაგალითად: დონორმა, თუკი ორჯერ ჩააბარა სისხლი, ხთვის განმავლობაში მას და მის ოჯახს წევრებს კომპანია სისხლის უფასო მიწოდებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა უფასოდ უტარდებათ ისეთი ძვირად ღირებული ანალიზები, როგორცაა C და B ჰეპატიტები, შიდსი, სიფილისი, სისხლის საერთო ანალიზი.



**იყავი გულისხმიერი, გაილა სისხლი -
გაღარაჩინა სიცოცხლე!**



მის: ქავთარაძის 21/ა
<http://www.geocbb.com>
T: 218_91_77; 254_53_19



კანონის დათხოვნის სისტემა

თბილისი-დასავსი.
მედევი.

